

## პროფესიული დასი ლალო მესხიშვილის ხელმძღვანელობით

(XIX საუკუნის ბოლო - XX საუკუნის დასაწყისი)

შორეულ წარსულში იღებს სათავეს ქუთაისის თეატრი, რომელმაც სახელი გაითქვა დიდებული ტრადიციებითა და ნიჭიერი ქართველი მსახიობების შესანიშნავი თამაშით.

ძველი ფოლიანტების თეალის გადავლება ადვილად დაგვარწმუნებს იმაში, თუ რამდენი დაბრკოლების გადალახვა და სიღუბნის ატანა მოუხდათ ქართლი კულტურის მესვეურებს: აკაკი წერეთელს, ეფრო კლდიაშვილს, ანტონ ლორთქიფანიძეს, ვასო ბალანჩივაძეს, კოტე მესხს, ვალერიან გუნიას, ლალო მესხიშვილს, შალვა დადიანს — ქუთაისში მუდმივი თეატრის მომზადებისა და მისი პროფესიული დონის ამაღლებისათვის. ამ ღირსეულ მამულიშვილთა შორის კი განსაკუთრებით აღსანიშნავია ლალო მესხიშვილის შემოქმედებით მოღვაწეობა.

ნიჭიერი მსახიობი ლალო მესხიშვილი 1893 წელს, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, თბილისის დრამატული საზოგადოების დასს ხელმძღვანელობდა. შემდგომში ის ქუთაისის თეატრს ჩაუდგა სათავეში.

ეს იყო ქუთაისის თეატრის აღდგენისა და განახლების დასაწყისი. ლ. მესხიშვილმა რეპერტუარიდან ამოიღო იაფფასიანი მელოდიები, საოხუნჯო, უშინაარსო კომედიები. ამიერიდან მესხიშვილის დასის რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილს ქართველთა და ევროპელ დრამატურგთა სანიმუშო ნაწარმოებები იჭერდნენ. რეპერტუარში შეაქვს პიესებიც, რომლებიც სოციალურ საკითხებს ეხება.

ქალაქის თვითმმართველობამ გაიგო, რომ მესხიშვილი ქუთაისში გადმოდიოდა. მოახერხა 6500 მანეთის გაღება თეატრის საჭიროებისათვის. თანხის უკმარისობის გამო შენობის რეკონსტრუქცია ვერ მოხერხდა (ხარაზისშვილისეული თეატრი) - მხოლოდ ნაწილობრივ შეალამაზეს; დარბაზი დარბაზს დაემსგავსა, მოწესრიგდა სცენა. დაიხატა სტანდარტული დეკორაციების მთელი კომპლექტი, რომელიც ყველა პიესისთვის გამოდგებოდა. საერთოდ, იმდროინდელ თეატრებში უნიფიცირებული დეკორაციები იზმარებოდა და საგანგებოდ იშვიათად თუ ხატავდნენ დეკორაციებს რომელიმე ახალი წარმოდგენისათვის.

შენობას ამის შემდეგ ქალაქის თეატრი დაერქვა. დადგენილ იქნა შენობის ექსპლუატაციის წესები. დრამატულ დასს შენობის ქირა უნდა გადაეხადა, თითო გამართულ წარმოდგენაში 35 მანეთი. ქალაქის თვითმმართველობამ ხმოსანთაგან გამოყო ეგრეთ წოდებული "გამგე კომისია", რომლის წევრები მორიგეობით ესწრებოდნენ წარმოდგენებს და განაგებდნენ ადმინისტრაციულ საქმეებს. კომისიის წევრები იყვნენ: ი. ჩიმაკაძე, მ. ქიქოძე, ვ. ჭელიძე, ივ. პურადაშვილი, კ. გოცირიძე და სხვები.

1895-1896 წლების სათეატრო სეზონზე დასი ქუთაისში არ შემდგარა, რადგან შენობის შეკეთება მიმდინარეობდა.

ახლად შეკრებილი თეატრი 1896 წლის 31 მარტს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. თბილისის დრამატული თეატრის მსახიობების მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული კომედია "პირველი ბუზი".

ლადო მესხიშვილის წინადადებით ქუთაისის თეატრში 1896-1897 წლების სეზონი შემდეგნაირად დაიწყო: საქმის თაოსნობა ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ იკისრა. დასი ერთსა და იმავე დროს თბილისსაც უნდა მომსახურებოდა და ქუთაისსაც. საქმე რომ წინ წასულიყო, ქუთაისის ინტელიგენციამ წარმოდგენების გამგე კომისია გამოყო /კ. ბაქრაძე, ს. ხუნდაძე, დ. წულუკიძე და სხვ./ ქუთაისის წარმომადგენლების თავკაცობა თვითონ ლადო მესხიშვილმა იკისრა.

პირველი ასეთი წარმოდგენა 3 ნოემბერს გაიმართა. დაწვრილებითი ცნობები ყველა გამართული წარმოდგენის შესახებ არ შემორჩენილა. პრესაში მოთავსებული ინფორმაციის მიხედვით, წარმოდგენილი ყოფილა: დ. ერისთავის "ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", გ. სუნდუკიანის "ხათაბალა", ო. ვაკრის "ჟან ბოდრტი", ა. ოსტროვსკის და ნ. სოლვიოვის "ბედნიერი დღე", ფ. შილერის "ყაჩაღები", შექსპირის "ჰამლეტი", გ. ერისთავის "გაყრა", ა. ოსტროვსკის "უდანაშაულოდ დასჯილნი".

1897-1898 წლების სეზონზე ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ უარი განაცხადა ქუთაისში წარმოდგენების გამართვაზე. უფრო მეტიც, თვით თბილისის დრამატული დასის გაძღოლაზეც აიღო ხელი. ლ. მესხიშვილი საბოლოოდ დაეთხოვა თბილისის დასს და ქუთაისის დასის ხელმძღვანელობა იკისრა. თეატრის ადმინისტრაციული გამგებლობისათვის დაარსდა ამხანაგობა. დასი შემდეგი მსახიობებისაგან შედგა: ნ. ჩხეიძე, დ. ივანიძე, შ. დადიანი, ვ. ბალანჩივაძე, გ. თუთბერიძე. თბილისიდან მოწვეული იყვნენ: ბ. ავალიშვილი, დ. აწყურელი, კ. ყიფიანი.

ამ სეზონიდან პრესაში მხოლოდ 7 წარმოდგენის კვალია შემორჩენილი. დაუდგამთ: ვოლდენბურხის დრამა "პირენეის მგელი", ვ. ჰიუგოს დრამა "ერნანი", ა. სუმბათაშვილის "შევარდნები და ყორნები", ფ. კარევის "ცხოვრების გმირი", ფურნიეს და არნოს დრამა "მარგალიტა და სვანი", გ. ერისთავის "დავა" და შექსპირის "რომეო და ჯულიეტა". საფიქრებელია, რომ წარმოდგენების რიცხვი მეტი უნდა ყოფილიყო.

ლ. მესხიშვილს კარგად ესმოდა მსახურების მისწრაფება და მომდევნო სეზონებში შეეცადა დასში არსებული შეცდომების გამოსწორებას. მან რეპერტუარში საგრძნობლად გაზარდა თანამედროვე ელერადობის ნაწარმოებთა რიცხვი, რომლებიც მრავალი სოციალური ბრძოლის საჭირობითი საკითხებს ესადაგებოდა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ლ. მესხიშვილმა შემოიღო და ტრადიციად დაამკვიდრა წარმოდგენების გამართვა ახლომახლო დაბა-ქალაქებსა და სოფლებში.

1898 წლის 9, 10, 17 იანვარს ქუთაისის დასმა ლ. მესხიშვილის მონაწილეობით ბათუმში ითამაშა უ. შექსპირის "მეფე ლირი", ფ. კარევის "ცხოვრების გმირი" და გერნგოფერისა და ბროზინერის დრამა "ბოშა ქალი ზანდა". ამავე წლის მაისში ბათუმშივე დადგეს ა. დიუმას "დმუნდ კინი" და ფ. კარევის "ცხოვრების გმირი". ივნისში ახალსენაკში, პეტრე-პავლეს დღეობაზე, რომელიც მთელი ერთი კვირა გრძელდებოდა, ლ. მესხიშვილმა სახელდახელოდ ააგო ხის ფარდული და ქუთაისის დასით აქ წარმოადგინა ვ. გუნიას "და-ძმა" დ. ერისთავის "სამშობლო", 26 ივლისს კი სოფელ კულაშში წარმოადგინეს ვ. გუნიას "და-ძმა". სექტემბერში, სეზონის გახსნამდე დასმა წარმოდგენები გამართა აბაშაში, ზესტაფონსა და ქიათურაში.

როგორც ვხედავთ, ლ. მესხიშვილს სულ მცირე ძალებით, საშუალებებით საკმაოდ მაღალ სიმაღლეზე აუყვანია ქუთაისის თეატრის შემოქმედებითი დონე.

1898-1899 წლების სეზონი 25 ოქტომბერს ფ. შილერის "ყაჩაღებით" გაიხსნა, რომელშიც ფრანც მოორის როლი შეასრულა ლ. მესხიშვილმა, ხოლო ამალიასი — ნ. ჩხეიძემ. გარდა "ყაჩაღებისა", ამ სეზონის წარმოდგენებიდან ჩვენთვის ცნობილია დ. ერისთავის "სამშობლო", ა. ყაზბეგის "კონსტანტინე ბატონიშვილი", იგივე "ქეთევან წამებული", ე. სკრიბის დრამა "ებრაელი ქალი", ზ. ანტონოვის "ქოროლილი", უ. შექსპირის "მეფე ლირი", ჰ. იბსენის "ნორა", ბიერტიერნე ბიერსონის დრამა "გაკოტრება" და ბულვერის დრამა "კარდინალ რიშელიე". ხსენებული სათეატრო სეზონი წარმატებით ჩატარდა.

სეზონის უკანასკნელი წარმოდგენა "კარდინალი რიშელიე" 14 თებერვალს გაიმართა ლ. მესხიშვილის საბენეფისოდ. გაზეთი "ივერია" წერდა, თუ რა აღტაცებით შეხვდა ლ. მესხიშვილს ქუთაისელი მაყურებელი: "მობენეფისეს სცენაზე გამოსვლისას საზოგადოებამ აღტაცებულის ტაშისკვრითა და ვაშას ძახილით მიეგება მსახიობთა მოელ დასს და აქ ერთმა მათგანმა, ბატონმა ქუჭმა (შალვა დადიანი) წაიკითხა ადრესი, რომელშიც ბატონი ალექსი - მესხიშვილი დასურათებული იყო როგორც დასის საუკეთესო მმართველი, მოსიყვარულე ამხანაგი, დასის დაუღალავი პატრონი და სულისჩამდგმელი. ამხანაგობის ჭირისა და ლხინის თანამოაზრე. ბატონი ქუჭი დასის სახელით უღრმეს პატივისცემას და მადლობას უცხადებდა ბატონ მესხიშვილს. არც საზოგადოება მოეკიდა გულგრილად საყვარელ მსახიობს: მრავალი საჩუქარი მიართვა, აღტაცებულ ტაშისკვრას და სცენაზე გამოწვევას ხომ საზღვარი არა ჰქონდა" (№37, 38, 1889წ.).

1899-1900 წლების სეზონს ახალი ძალები შეემატა - ალექსანდრე წუწუნავა და ლევან მირიანაშვილი. დაიდგა დ. ერისთავის "სამშობლო", ა. ყაზბეგის "კონსტანტინე ბატონიშვილი", ა. ცაგარელის "ლეკის ქალი ურჯავარ" და "ქართველი დედა". კ. ნასიძის მიერ გადმოკეთებული "ცხოვრების მეგლისზე", კ. წერეთლის "თამარ ცბიერი", კ. მესხის მიერ გადმოკეთებული "ბედს ვერ წაუხვალ", ფ. კარეგვის "უბედური ნაბიჯი", ნ. რაკშანიანის "გულისთქმა", ა. ოსტროვსკის "უდანაშაულოდ დასჯილნი", შექსპირის "ოტელო", "მეფე ლირი" და "ჰამლეტი", მოლიერის "სკაპენის ოინები", კ. გუცკოვის "ურიელ აკოსტა", დენერის "ესპანელი აზნაური", ბულვერის "კარდინალი რიშელიე", ე. სკრიბას "ებრაელი ქალი", პ. ჯიაკომეტის "დამნაშავის ოჯახი". ა. დიუმას "სიუზანა".

ქართული დრამატურგია რეპერტუაში წარმოდგენილი იყო ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებით. გაზეთი "ივერია" (№230, 1899) სეზონის დასაწყისშივე აღნიშნავდა ამ გარემოებას და წერდა, რომ თეატრის გატაცება ისტორიული წარსულით არცთუ სანაქებოა. ურჩევდა თეატრს, მთავარი ყურადღება მიექცია თანამედროვე შინაარსის პიესებზე.

1900 წლის 2 იანვარს დრამატულმა დასმა ქართული თეატრის აღდგენის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო-წარმოდგენა გამართა. ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით გამართულმა იუბილემ დიდი მოწონება დაიმსახურა. უჩვენეს პ. უმიკაშვილის პიესა "სამზადისი", რომელიც 1850 წლის ორი იანვრის "გაყრის" პირველი წარმოდგენის სამზადისს ასახავდა. წარმოდგენილი იყო აგრეთვე გ. ერისთავის "დავის" მეოთხე მოქმედება, ვ. ვოლსკის მიერ გადმოკეთებულ ა. ჩეხოვის ვოდევილი "ღმერთმა შეაბეროსთ" და ვ. გუნიას ვოდევილი "არც აქეთ, არც იქით". მეორე მოქმედების შემდეგ გაიმართა ზეიმი. სცენაზე იდგა

ყვავილებში ჩასმული გ. ერისთავის სურათი. ირგვლივ ჩამწკრივდნენ მსახიობები, ხელში გვირგვინებით. სურათის უკან, ელექტრონით განათებულ მაღლობზე იდგნენ მსახიობი ნ. ჩხეიძე და პოეტი გრ. აბაშიძე. მათ წაიკითხეს გრ. აბაშიძის მიერ დაწერილი დიალოგი "მელპომენა და პოეზია". შემდეგ სიტყვა წარმოთქვა შ. დადიანმა: "მართალია, ჯერ კიდევ სუსტია, კიდევ ნორჩია ეს მცენარე, ესე იგი, ჩვენი სცენა, ჯერ კიდევ ბევრი მოვლა და პატრონობა უნდა მას, მაგრამ მან უკვე გააბა მტკიცე სულიერი კავშირი თავისსა და ხალხს შორის, გაიჩინა მკვიდრი ბინა მის გულში და ამით უზრუნველყო თავისი სიცოცხლე. ახლა არც ხალხი უარყოფს მას, მუდამ მხარს დაუჭერს, წელს გაუმაგრებს, რადგან, საბედნიეროდ, ეს ჭეშმარიტება ბევრმა შეიგნო და მეტიც შეიგნებს, რომ აღორძინებული ლიტერატურა და თეატრი ერის ძალღონეა.

"მსახიობმა ვ. ბალანჩივაძემ წაიკითხა გრ. აბაშიძის ლექსი "გ. ერისთავის სახსოვრად", მსახიობმა გ. თუთბერიძემ წაიკითხა რ. ერისთავის ლექსი "კაცი ის არის", მოვიდა მისალოცი დებეშები. გაზეთი "ივერია" (№10 1900) წერდა, რომ მომავალი თაობა კიდევ უფრო ღირსეულად გადაიხდის 100 წლის იუბილესო". ქუთაისის დასის წევრებმა მოახერხეს და დღესასწაულისადმი მიძღვნილი წიგნაკი დაბეჭდეს. მასში მოთავსებული იყო შემდეგი წერილები: შ. დადიანის "50 წელი ქართული თეატრისა", "2 იანვარი, 1900 წ. თბილისში", "მოსხენება დრამატული საზოგადოების გამგეობისა" და "2 იანვარი, 1900 წ. ქუთაისში".

სათეატრო სეზონი ქუთაისში 20 თებერვალს დამთავრდა. ლ. მესხიშვილმა შეასრულა ოტელოს როლი, ნ. ჩხეიძემ - დეზდემონასი. გაზეთი "ივერია" (№42, 1900) იტყობინებოდა, რომ უსაზღვრო იყო მაყურებლის აღტაცება, ახალგაზრდობამ ხელში აიტაცა მესხიშვილი და თეატრიდან ისე გამოიყვანაო. იქვე წერდნენ, რომ "ამ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის განმავლობაში ჩვენ არ გვახსოვს ქუთაისის თეატრში წარმოდგენას დასწრებოდეს იმდენი ხალხი, რამდენიც ამ ბენეფისის დროს."

"მესამე დასელთა" გაზეთი "კვალი" საერთოდ დიდად აფასებდა ლ. მესხიშვილის სასცენო ნიჭს და მოღვაწეობას. უფრო ადრე გაზეთი წერდა: "...თუკი რამ შეიძლება ვთქვათ, არტისტი გენიოსი - ეს სახელი სწორედ მას ეკუთვნის. ასე მგონია, მთელს რუსეთს ბატონ მესხიშვილისთანა არტისტი არ მოეპოვება, ჩვენი ქვეყნის შვილი ა. სუმბათაშვილი-იუჟენი ხომ რუსეთში საუკეთესო არტისტულ ძალად ითვლება, მე რომ მკითხოთ, ბატონი მესხიშვილი მას არ ჩამოუვარდება და სჯობს კიდევ-თქო, რომ ვთქვა, გადამეტება არ იქნება. ის უფრო გულახდილად თამაშობს, უფრო პოეტურად და შთაბეჭდილებასაც უფრო პირდაპირ ახდენს მაყურებელზე. აი, ამაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის სცენაზე მარტო არტისტია და არა არტისტი და მესხიშვილი ორივე ერთად... (გაზ. "კვალი", №48, 1899). ჩვენი პროგრესული საზოგადოება ხედავდა, რომ მესხიშვილის გამირულ-რომანტიკული სასცენო შემოქმედება თანადროული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. მსახიობი მუდამ ცდილობდა თავის სცენური სახეებისათვის თანადროული ჟღერადობა მიეცა.

ქუთაისის კულტურული ცხოვრების ის პერიოდი, როდესაც თეატრს სათავეში ედგა ლ. მესხიშვილი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია. მან დასში თავი მოუყარა თეატრის ენთუზიასტებს და დუღაბივით შეკრული კოლექტივი ჩამოყალიბდა. მათი სპექტაკლები თავისი იდეური მიზანდასახულობით და მხატვრული ღირებულებით მასების გათვიცნობიერებასა

და ეათეტიკურად აღზრდის უწყობდა ხელს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ რუსეთის იმპერიაში არსებულმა დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ თეატრშიც შეაღწია. იგი პარტიული დაბირისპირების არენად იქცა. ქუთაისის თეატრმა ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით მხატვრულ მიღწევებთან ერთად თავი ისახელა როგორც რევოლუციურმა თეატრმა. ამიტომაც არის, რომ ქართული თეატრის ისტორიაში იგი მსახიობ-რევოლუციონერად მოიხსენიება. სავსებით მართებულია, რომ ქუთაისის თეატრს ამ გამოჩენილი სცენის ოსტატის სახელი ეწოდა.

### დამოწმებული ლიტერატურა

- გ. ბუხნიკაშვილი, 1967 - გ. ბუხნიკაშვილი, "თეატრალური ქუთაისი", თბ., 1967  
 ს. გერსამია, 1947 - ს. გერსამია, "ქუთაისის თეატრი", თბ., 1947  
 უურნალი "თეატრი და ცხოვრება", თბ., 1910, №35  
 გაზეთი "ივერია", 1891, №65, №221, 1894, №47, №220

## ELENE GEGESHIDZE

### PROFESSIONAL COMPANY UNDER THE GUIDANCE OF LADO MESKHISHVILI (the end of the 19th c. - beginning of the 20th c.)

The Kutaisi theatre was renowned for its magnificent traditions and performance of talented Georgian actors.

The period when the Kutaisi theatre was headed by Lado Meskhishvili, is very significant in its history. This was the beginning of the restoration and renewal of the Kutaisi theatre. L. Meskhishvili gathered enthusiasts of theatre and formed a well-consolidated company. By the ideological purport and aesthetic value their performances facilitated the growth of the awareness and aesthetic development of the public.

The Kutaisi theatre under L. Meskhishvili was famous as a revolutionary theatre. Therefore, he is often referred to as an actor-revolutioner in the history of Georgian theatre. Quite correctly, the Kutaisi theatre was named after this well-known actor.